ჩემი თვალით დანახული რუსული აგრესია

ადამიანები სხვა არსებებისაგან იმით განვსხვავდებით, რომ გვაქვს თავისუფალი გონება, რომელიც უფალმა გვიბოძა დასაბამითგან. ამიტომაც თავისუფლების ცნება საზოგადოებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, თუმცა მას ხშირად არასწორად ვიყენებთ "და გადის ჩვენი მოკლე ცხოვრება შურში, მტრობაში და სიძულვილში".

არავის ძალუძს წაართვას ვინმეს თავისუფლება და "ვინც სხვას ართმევს თავისუფლებას, მონაა ისიც".

თავისუფლების დაკარგვით იწყება შუღლი, შფოთი, ბრძოლა, სისხლისღვრა, რომელსაც, ჩვენ, ადამიანებმა ომი ვუწოდეთ. ომი იწყება და... იკარგება თავისუფლება, მშვიდობა და სიყვარული... სულის სიმშვიდე ხომ ყველაზე მთავარია ცხონებისათვის, ასევეა ხორციელ სამყაროშიც: "მშვიდობა კაცთა შორის და ქვეყანასა ზედა სათნოება"... რთულია შეინარჩუნო სიმშვიდე ომის ჟამს, ჭურვების ქვეშ მოქცეულმა, როდესაც უყურებ, როგორ გარბის თავგზააბნეული ხალხი, სადღაც, უმისამართოდ... როდესაც გეშინია ტელევიზორის ჩართვის, რადგან არ იცი რა ხდება და ცდილობ თავს არ გამოუტყდე, რომ ეს ყოველივე რეალობაა. ჩვენ ომში ჩავებით მთელი ტრაგიზმით. როგორ დაიწყო ყოველივე ან რისთვის?! რა მოაქვს მას ჩვენთვის, ქართველი ერისთვის?! მხოლოდ უსიყვარულობა, დაუნდობლობა, აოხრებული ქვეყანა... მისი დაღდასმული კვალი კი ჯერ კიდევ ატყვია ძველი სახლის გაბზარულ კედლებზე დაკიდებულ სურათებსა და შავოსანი დედების თვალებს. შენ კი ამ ყოველივეს შესცქერი, უყურებ, როგორ ზანზარებენ კედლები ჭურვის ხმაზე. ეს ამაზრზენი ხმა მთელს სხეულს ედება და ვერაფრით იშორებ. ვერ გაურბიხარ, თუმცა მაინც ცდილობ არ დაიჯერო, რომ წინ მეტი საფრთხე ელის შენს ქვეყანას. ჩაგესმის ხმები, რომლებიც ცრემლითაა გაჟღენთილი. ტკივილნარევი იავნანა "გაცვეთილი" ხმით, სისხლშემხმარი ტუჩებითა და ყელში გაჩხერილი ცრემლით... შეწყვეტილი წამი და უკანასკნელი სიტყვები სიკვდილის წინ: "უფალო შეგვიწ..." შენთვის ყოველივე ქრება და ხვდები, რომ ცხოვრებაში არაფერია მშვიდობაზე ძვირფასი; ყველაფერი წარმავალია და უძლურია დროის წინაშე. აანალიზებ და ხვდები, ერთადერთი ნუგეში, სასოება და რწმენა ქრისტეშია. უცქერ და ტირი. ტირი და ვერაფრით შველი. ცდილობ ლოცვითა და ფსკვნილით ხელში უშველო საკუთარ თავს და ოდნავ მაინც დაეხმარო შენი ქვეყნის მამულიშვილებს, რომლებიც მიდიან და აღარ ბრუნდებიან. იმ წამს, როდესაც, შენ მძიმედ, შიშისგან გათანგული სუნთქავ, ვინ იცის, რამდენმა ქართველმა შეწყვიტა სუნთქვა... ცა კი რუხი თვითმფრინავებით იფარება და შავი ბოლით ისერება ცისფერი თაღი. თითქოს იმ წამს ყოველივეს კარგავ, საკუთარ თავსაც. ცდილობ დაიძინო, რადგან გეშინია ყოველივეს ცხადად უყურო... დაბინდულ გონებას საზარელი ხმა აფხიზლებს. თითქოს ცა ჩამოწვა... ყველაფერი გახსენდება... ყველაფერი თავიდან იწყება... ცდილობ მშობლების თვალებში ამოიკითხო რეალობა უთქმელი სიტყვით და გიხარია, გიხარია, რომ შენი ქალაქი გადარჩა, ღვთისმშობელმა დაიფარა თავისი კალთით. შემოჭრა კი სხვადასხვა ქალაქში კვლავაც გრძელდება. არავინ იცის, რომელ წამს მოგაბჯენენ საფეთქელთან ლულას... ან იქნებ, გაწამონ, გატკინონ, გაგძარცვონ. ისიც მოგისპონ, რაც გაბადია. წაგართვან უმანკოება, შვილი, დედა, მამა... ამ კადრის წარმოსახვაც რთულია, რეალობა – გაუსაძლისი. რატომ ერთხელაც არ დავფიქრდებით, იქნებ ყოველივე ეს ჩვენი ცოდვების გამო ხდება, სიყვარულის "კრიზისის" გამო: "შენ რატომ უნდა გეძინოს ცუდად, მე თუ რაღაცით ვარ ბედნიერი... ან რატომ უნდა გეძინოს მშვიდად, როცა მე ვწევარ სისხლის გუბეში". სამყარო დამძიმებულია ჩვენივე ცოდვებით. ჩვებ უცხონი ვხვდებით ერთმანეთისთვის. ომს კი არაფერი მოაქვს სიძულვილისა და დაუნდობლობის მეტი.

მარიამ შენგელია IX კლასი